

იპოთეკის ხელშეკრულება #

0000 დადებული # გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი

თბილისი

00/00/0000

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები:

1.1. იპოთეკარი

საფირმო სახელწოდება:	სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“
იურდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, აკაკი წერეთელი გამზირი N 118, 1-ლი პავილიონი
საიდენტიფიკაციო კოდი:	205274273
რეგისტრაციის თარიღი:	5/3/2009
წარმომადგენელი:	დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობით მოქმედი

წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის წარმოდგენილი როგორც გამსესხებელი (შემდგომში "იპოთეკარი" ან/და "გამსესხებელი")

1.2. მესაკუთრე

სახელი და გვარი:	
პირადი ნომერი:	
დაბადების თარიღი:	
მისამართი:	
ელ-ფოსტა:	
საკონტაქტო ტელ:	
ანგარიშის ნომერი:	

სესხის გაცემა ხდება გენერალური ხელშეკრულების (00000 ლარი) ფარგლებში, რომელიც მოქმედია 00/00/0000 მდე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ზემოაღნიშნული ლიმიტის ფარგლებში მსესხებელზე დამატებით კრედიტის გაცემის შემთხვევაში, კრედიტის გაცემაზე თქვენი დამატებითი თანხმობა არ იქნება საჭირო და თქვენი ქონების უზრუნველყოფის მოცულობა გავრცელდება გენერალური ხელშეკრულების უზრუნველყოფის ფარგლებში გაცემულ ყველა კრედიტზე.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. იპოთეკარსა და მსესხებელს (რომელიც მითითებულია 4.2.4 პუნქტში) შორის გაფორმებული ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში მითითებული გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, მესაკუთრე წინამდებარე ხელშეკრულებით, იპოთეკარის სასარგებლოდ იპოთეკით ტვირთავს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას, (შემდგომში იპოთეკის საგანს) რაც მითითებულია მე-3 მუხლში. ამ ხელშეკრულების საფუძველზე იპოთეკარი უფლებამოსილია იპოთეკით დატვირთული ქონებით დაიკმაყოფილოს 4.2 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა, 3.2.2 „ბ“ პუნქტში მითითებული რიგითობით. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით იპოთეკის საგნის დატვირთვა არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსს, სხვა საკანონმდებლო აქტებს და არ არღვევს სხვა პირთა კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს. იპოთეკის საგანს არ გააჩნია რაიმე დაფარული თვისება, რომლის გამომჟღავნების შედეგად

შემცირდება იპოთეკის საგნის ღირებულება. მხარეთა შეფასებითა და განცხადებით, იპოთეკის საგანი ნივთობრივად უნაკლოა და ვარგისია ექსპლუატაციისათვის. იპოთეკის საგანი ნამდვილად ეკუთვნის საკუთრების უფლებით მესაკუთრეს რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

მუხლი 3. იპოთეკის საგანი.

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული იპოთეკის საგანია ამ მუხლში აღწერილი, საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული მესაკუთრის უძრავი ქონებ(ები)ა.

3.2. იპოთეკის საგნის აღწერა და უფლებრივი მდგომარეობა.

<p>იპოთეკის საგნის მახასიათებლები 1:</p>	
<p>უფლებრივი მდგომარეობა: ა) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: ბ) იპოთეკის რიგითობა: გ) ყადაღის შესახებ ინფორმაცია:</p>	

მუხლი 4. იპოთეკით უზრუნველყოფილი ფარგლები და მოთხოვნა

4.1 უზრუნველყოფის ფარგლები

იპოთეკით სრულად უზრუნველყოფილია მოთხოვნა, წარმოშობილი 4.2 პუნქტში აღწერილი ხელშეკრულებიდან გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ და მის ფარგლებში მოქმედი ხელშეკრულებებიდან, მათ შორის და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე: შემადგენელი საკრედიტო ხაზების, გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში მოქმედი ცალკეული კრედიტების, და საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების მომსახურების მიზნით დადებული ყველა ხელშეკრულებიდან და სრულად უზრუნველყოფს მსესხებლის მიერ ათვისებული ძირითადი თანხების, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოების, პირგასამტეხლოს, ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების, ასევე სასამართლოს, ნოტარიუსის, აღსრულების, იპოთეკის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

4.2 უზრუნველყოფილი მოთხოვნის სატექნიკური:

4.2.1. ხელშეკრულების სახე	
4.2.2 ხელშეკრულების ნომერი	
4.2.3 გამსესხებელი	სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ
4.2.4 მსესხებელი	
4.2.5 ხელშეკრულების დადების თარიღი:	
4.2.6 მოქმედების ვადა:	
4.2.7 საკრედიტო ხაზის ლიმიტი:	
4.2.8 მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	

მუხლი 5. მესაკუთრის განცხადებები და გარანტიები

მესაკუთრე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

5.1. “მესაკუთრე” აცხადებს და გარანტიას იძლევა რომ არის იპოთეკის საგნის კანონიერი და ჭეშმარიტი მესაკუთრე და რომ იპოთეკის საგანზე არ ვრცელდება რაიმე ყადაღა, ჯარიმა ან სხვა რაიმე უფლებრივი

დატვირთვა

5.2. მართლზომიერად ფლობს საკუთრების უფლებას იპოთეკის საგანზე, გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის, დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებაუნარიანობა და ამ მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა.

5.3. არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში, მათ შორის, ადმინისტრაციულ, სისხლის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის ქონებას და/ან მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ან სხვა ხელშეკრულებების პირობების შესრულებას.

5.4. მის მიერ იპოთეკარისათვის წარდგენილი ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისათვის არის უტყუარი და ზუსტი.

5.5. წინამდებარე ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება არ გამოიწვევს მის მიერ ადრე დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევას.

5.6. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, იპოთეკარის, ან სხვა მესამე მხარეთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე.

5.7. ამასთანავე მისთვის ცნობილია, რომ იპოთეკარისათვის ყალბი ცნობების და/ან დოკუმენტების მიწოდება იპოთეკის გასაფორმებლად, იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად დასჯად ქმედებას.

5.8. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მესაკუთრე აცხადებს და ადასტურებს, რომ მისთვის ნათელია, თუ რა სახის და მოცულობის კრედიტებიდან წარმოშობილი, ასევე მსესხებლის მიერ მომავალში დასადები ხელშეკრულებ(ებ)ით, რა სახის და მოცულობის სამომავლო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ტვირთავს ქონებას იპოთეკარის სასარგებლოდ. იგი იცნობს 4.2 პუნქტში მითითებული გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ტექსტს სრულად და გასაგებია მისი შინაარსი.

5.9. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ იპოთეკარი წინამდებარე ხელშეკრულებას დებს მოცემული განცხადებებზე, გარანტიებზე დაყრდნობით და თვლის მათ ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიების და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა საკმარისი საფუძველია იპოთეკარის მიერ გაცემული კრედიტის უკან გამოსათხოვრად და/ან გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ან მისი შემადგენელი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ყველა ან ნებისმიერი მომსახურების განწვევაზე (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს კრედიტის გაცემას) ცალმხრივი უარის სათქმელად. კრედიტის გამოთხოვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ნებისმიერი კრედიტი, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის და დაკისრებული პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის არსებობის შემთხვევაში. იპოთეკარის ასეთი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში იპოთეკარი უფლებამოსილია იძულებით რეალიზაციაზე მიაქციოს იპოთეკის საგანი.

მუხლი 6. იპოთეკის წარმოშობა და რეგისტრაცია

6.1. იპოთეკა წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. იპოთეკის რიგითობა განისაზღვრება განცხადების წარდგენის დროის შესაბამისად. იპოთეკა ექვემდებარება დაუყოვნებლივ რეგისტრაციას საჯარო რეესტრში და მოქმედებს ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში აღწერილი მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებამდე.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება წერილობითი ფორმით. თუ ცვლილება თავისი შინაარსით საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას (მოთხოვნის შეცვლა სხვა მოთხოვნით, იპოთეკის რიგითობის შეცვლა, ცვლილება უზრუნველყოფილ მოთხოვნაში იპოთეკის წინა ჩანაწერის შეუცვლელად) ამგვარი ცვლილება უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით.

მუხლი 7. იპოთეკის საგნის სხვა საგანთან გაერთიანების, გაყოფის და გარდაქმნის შედეგი.

7.1. იპოთეკარის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე მესაკუთრე უფლებამოსილია იპოთეკის საგანი გარდაქმნას, გაყოს, გააერთიანოს სხვა საგანთან იმდაგვარად, რომ გარდაქმნის შედეგად არ დაუშვას იპოთეკის საგნის რეალური ღირებულების შემცირება.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგნის გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე (იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნაწილზეც). ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ნორმა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ იპოთეკის საგანს დაემატება (მიეშენება, დაეშენება) შენობა (შენობის ნაწილი). აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგანში შემავალ მიწის ნაკვეთზე აღიმართება შენობა-ნაგებობა. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ნორმა ვრცელდება იპოთეკის საგნის ყველა გაუმჯობესების მიმართ.

7.3. მესაკუთრე უფლებამოსილია იპოთეკარის წინასწარი თანხმობით გაყოს იპოთეკის საგანი ორ, ან რამდენიმე ნაწილად იმ პირობით, რომ გაყოფის შედეგად მიღებული ნივთების რეალური ღირებულება არ შემცირდება. იპოთეკის საგნის გაყოფის შედეგად წარმოშობილ ნივთებზე (იპოთეკის საგნის ნაწილებზე) იპოთეკა, რომელიც დადგენილია წინამდებარე ხელშეკრულებით, დარჩება უცვლელი. იპოთეკის საგნის გაყოფის შედეგად მიღებული თითოეული ნივთი (იპოთეკის ახალი საგანი) სრულად უზრუნველყოფს იპოთეკარის მოთხოვნას.

7.4. იპოთეკა ვრცელდება უძრავი ნივთის ნაყოფზეც.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ საჯარო რეესტრში განხორციელდება იპოთეკის საგნის სტატუსის ან ფართის ცვლილება/დაზუსტება ნებისმიერი მიზეზით, ან თუ იპოთეკის საგანი ფაქტობრივად აღმოჩნდება სხვა მოცულობის, ვიდრე წინამდებარე ხელშეკრულების 3.2.1. პუნქტში აღნიშნული საჯარო რეესტრის ამონაწერებით არის განსაზღვრული, იპოთეკა გავრცელდება აღნიშნული ცვლილების განხორციელების შედეგად დარეგისტრირებულ/ფაქტობრივად არსებულ ფართზე. ამასთან, თუ აღმოჩნდება, რომ ცვლილების განხორციელების შედეგად რეგისტრირებული ფართი ნაკლებია, ვიდრე ის იყო წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში და რამაც გამოიწვია იპოთეკის საგნის ფასის შეცვლა, მესაკუთრე ვალდებულია, გამსესხებელის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთოს დამატებით ქონება, რომლის ღირებულება ტოლფასია იპოთეკის საგნის პირვანდელი ღირებულების და შეცვლილი ღირებულების სხვაობისა;

მუხლი 8. იპოთეკის საგნით სარგებლობა

8.1. მესაკუთრეს უფლება აქვს ფლობდეს იპოთეკის საგანს და ისარგებლოს ამ საგნით ისე, რომ ამით არ შემცირდეს იპოთეკის საგნის ღირებულება. მესაკუთრე უფლებამოსილია მიიღოს იპოთეკის საგნის ნაყოფი.

მუხლი 9. მესაკუთრის ვალდებულებანი

9.1. იპოთეკის საგნის მოვლა-პატრონობისა და მისი შემთხვევით განადგურების, ან დაზიანების რისკი ეკისრება მესაკუთრეს. იგი ვალდებულია:

ა) შეინარჩუნოს იპოთეკის საგნის რეალური ღირებულება და იპოთეკის საგნის არსებობისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში გონივრულ ვადაში უზრუნველყოს ამ საფრთხის თავიდან აცილება.

ბ) მიიღოს საჭირო ზომები იპოთეკის საგნის უვნებლად შესანარჩუნებლად, მათ შორის, დაიცვას იპოთეკის საგანი მესამე პირების ხელყოფისა და/ან მოთხოვნებისაგან.

გ) დაუყოვნებლივ აცნობოს იპოთეკარს იპოთეკის საგნის ღირებულების შემცირების საშიშროების წარმოქმნის შესახებ.

დ) უზრუნველყოს იპოთეკის საგნის გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და გაიღოს ყველა ხარჯი იპოთეკის საგნის მოვლა-პატრონობისათვის იპოთეკის შეწყვეტამდე.

ე) ფიზიკური ცვეთის ან სხვა მიზეზების შედეგად იპოთეკის საგნის ღირებულების შემცირების შემთხვევაში, მესაკუთრე ვალდებულია გამსესხებელის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთოს დამატებით ქონება, რომლის ღირებულება ტოლფასია იპოთეკის საგნის პირვანდელი ღირებულებისა

მუხლი 10. იპოთეკარის უფლებები

10.1. თუ მესაკუთრის ქმედების შედეგად მცირდება იპოთეკის საგნის ღირებულება იპოთეკარი უფლებამოსილია მესაკუთრეს მოსთხოვოს ასეთი ქმედების შეწყვეტა.

10.2. იპოთეკარს აქვს უფლება დოკუმენტალურად და ადგილზე დათვალიერებით შეამოწმოს იპოთეკის საგნის არსებობა, მდგომარეობა, მოვლის პირობები წარდგენილი დოკუმენტებით და/ან ადგილზე დათვალიერებით და მოსთხოვოს მესაკუთრეს იპოთეკის საგნის ღირებულების შენარჩუნებისათვის საჭირო ზომების მიღება. თუ ირკვევა, რომ მესაკუთრე ვერ ან/და არ ასრულებს თავის მოვალეობებს, იპოთეკარს უფლება აქვს თავისი სახსრებით აღმოფხვრას იპოთეკის საგნის დაზიანებები, ხოლო ამგვარი ქმედებების განსახორციელებლად აუცილებელი სახსრების გადახდა მოსთხოვოს მესაკუთრეს.

10.3. იპოთეკის საგნის ღირებულების შემცირებისას, მესაკუთრე ვალდებულია გამსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში დასატვირთად წარმოადგინოს დამატებითი ქონება, ისე რომ სრულად იყოს უზრუნველყოფილი მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.2.2 პუნქტში აღნიშნული გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების და მისი ქვემდებარე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 11. მესამე პირთა სარჩელის შესახებ შეტყობინების ვალდებულება

11.1. მესაკუთრე ვალდებულია იპოთეკარს დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მის მიმართ მესამე პირის მიერ სარჩელის აღძვრის შესახებ, თუ სასარჩელო მოთხოვნის საგანია იპოთეკის საგანზე, ან მის ნაწილზე მესაკუთრის საკუთრების უფლების შეწყვეტა, ან შეზღუდვა (იპოთეკის საგანზე ან საგნის ნაწილზე მესამე პირის საკუთრების უფლების აღიარება).

11.2. ხელშეკრულების 11.1 პუნქტში მითითებული შემთხვევის დადგომისას, მესაკუთრე გამსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგენს დამატებით ქონებას იპოთეკით დასატვირთად.

11.3. ამ მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს იპოთეკარის მიერ საკრედიტო ვალდებულებათა შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის საფუძველს.

მუხლი 12. იპოთეკის საგნის დაზღვევა

12.1. ამ მომენტისათვის იპოთეკის საგანი არ არის დაზღვეული რომელიმე სადაზღვევო კომპანიაში და თუკი იგი დაზღვეულია ან განხორციელდება მისი დაზღვევა, მაშინ დაზღვევის კომპენსირებული თანხით პირველ რიგში დაიფარება უზრუნველყოფილი მოთხოვნა;

12.2. მესაკუთრე, საჭიროების შემთხვევაში, თავის მხრივ, ითანამშრომლებს გამსესხებელთან იპოთეკის საგნის სადაზღვევო პოლისის შექმნის საკითხებში. მესაკუთრე ადასტურებს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, დაზღვევის კომპენსირებული თანხით პირველ რიგში დაიფარება უზრუნველყოფილი მოთხოვნა;

მუხლი 13. იპოთეკის უფლების განხორციელების საფუძვლები მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადის დადგომისას და რეალიზაციის წესი

13.1. იპოთეკარი უფლებამოსილია განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოქმედება იპოთეკის საგანზე გადახდევინების მიქცევისათვის, თუ დადგა 4.2 პუნქტით განსაზღვრული გენერალურის

საკრედიტო ხაზით მომსახურების და მის საფუძველზე გაფორმებული სხვა დამატებითი ხელშეკრულებებიდან წარმომდინარე ვალდებულებების ვადამდელი შესრულების გარემოებები ან/და მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა, ხოლო მსესხებელი არ ასრულებს ვალდებულებას, ან თუ სასამართლოს გადაწყვეტილების, ან სახელმწიფოს ნორმატიული აქტის საფუძველზე, ან სხვა ფორმით მესაკუთრის ნებით ან მისგან დამოუკიდებლად საფრთხე ემუქრება იპოთეკას, მესაკუთრემ იპოთეკის საგანი გააერთიანა, გაყო ან გარდაქმნა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესის დარღვევით, ან დაარღვია ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობები.

13.2. იპოთეკარი საკუთარ უფლებას განახორციელებს მიუხედავად იმისა, თუ ვის მფლობელობაში, ან საკუთრებაში იმყოფება იპოთეკის საგანი (ან მისი ნაწილი _ იპოთეკის საგნის გაყოფის შემთხვევაში).

13.3. იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ ფარავს იპოთეკარის მოთხოვნას, იპოთეკარი უფლებამოსილია აღსრულება მიაქციოს მსესხებლის და თავდებების სხვა ქონებაზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

13.4. ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები შეთანხმდით, რომ წინამდებარე იპოთეკის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი რომელიმე ვალდებულების (გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების და მისი შემადგენელი ხელშეკრულებების) დროულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში იპოთეკარს უფლება ექნება დამოუკიდებლად, მესაკუთრესთან დამატებითი შეთანხმების გარეშე საკუთარი არჩევანით გამოიყენოს ქვემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათაგან ნებისმიერი:

13.4.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის შესაბამისად, პირდაპირ მიიღოს საკუთრებაში იპოთეკის საგანი და მას ეძლევა უფლება, უპირობოდ განცხადებით მიმართოს საჯარო რეესტრს და გადაიფორმოს იპოთეკის საგანი თავის საკუთრებაში. იპოთეკის საგნის გამსესხებლის საკუთრებაში გადასვლის მიზნებისათვის, ეს ხელშეკრულება განიხილება გამსესხებლისა და მესაკუთრის ერთობლივ განცხადებად იპოთეკის საგანზე გამსესხებლის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ. გამსესხებელს არ ესაჭიროება მესაკუთრის თანხმობის (წერილობითი ან ზეპირი) წარდგენა საჯარო რეესტრში და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახური ვალდებულია, გამსესხებლის განცხადების საფუძველზე, რომელსაც დაერთვება ხელშეკრულების ასლი, იპოთეკის საგნის მესაკუთრედ დაარეგისტრიროს გამსესხებელი;

13.4.2. მოითხოვს იპოთეკის საგნის რეალიზაცია. მხარეები თანხმდებიან, რომ ასეთ შემთხვევაში, იპოთეკის საგნის რეალიზაცია განხორციელდება აუქციონის გზით და გამსესხებლის მიერ არჩეული ერთ-ერთი ფორმით:

ა) გამსესხებელი უფლებამოსილია, იპოთეკის საგნის რეალიზაცია განახორციელოს იპოთეკარის ან იპოთეკარის მიერ შერჩეული პირის მეშვეობით, რისთვისაც საჭირო არ არის მესაკუთრის დამატებითი თანხმობა. იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაცია შეფერხდება რაიმე მიზეზით, საკითხი გადაწყდება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად არჩეული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მეშვეობით, რომლის გადაწყვეტილების აღსრულება მოხდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

13.4.3. გამსესხებელი უფლებამოსილია, მიმართოს 13.4 მუხლში აღნიშნულ ღონისძიებას, როგორც მთლიან იპოთეკის საგანზე, ისე მის ნაწილზე, რასაც გამსესხებელი გადაწყვეტს ცალმხრივად;

13.4.4. მსესხებელი ვისრულობს ვალდებულებას, გამსესხებლის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა ან გამსესხებლის მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოს გამსესხებლისათვის ნებისმიერი დოკუმენტის მიწოდება თუ ქმედების განხორციელება, რომელიც აუცილებელი იქნება ამ მუხლის 13.4. მუხლში მითითებული ქმედების (იპოთეკის საგნის რეალიზაციის/იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის) სრულფასოვანი განხორციელებისათვის.

13.5. იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკარის მიერ იპოთეკის საგნის საკუთრებაში მიღების მომენტისათვის იპოთეკის საგნის ღირებულება იქნება უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე ნაკლები, უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ იპოთეკის საგნის ღირებულების ტოლი ოდენობით;

13.6. თუ მესაკუთრის ქმედების შედეგად მცირდება იპოთეკის საგნის ღირებულება იპოთეკარი უფლებამოსილია მესაკუთრეს მოსთხოვოს ასეთი ქმედების შეწყვეტა;

13.7. მსესხებელი/მესაკუთრე ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების 13.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებას იპოთეკარი განახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ, რისთვისაც მას (იპოთეკარს) არ ესაჭიროება მესაკუთრის/მსესხებლის რაიმე დამატებითი ზეპირი თუ წერილობითი თანხმობა ან დამატებით მესაკუთრესთან/მსესხებელთან შეთანხმება;

13.8. გამსესხებლის საკუთრებაში იპოთეკის საგნის გადასვლის შემთხვევაში, გამსესხებლის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის განმავლობაში, მესაკუთრე ვალდებულია იპოთეკის საგანი გადასცეს გამსესხებელს მფლობელობაში;

13.9. იპოთეკარს აქვს უფლება დოკუმენტალურად და ადგილზე დათვალიერებით შეამოწმოს იპოთეკის საგნის არსებობა, მდგომარეობა, მოვლის პირობები წარდგენილი დოკუმენტებით და/ან ადგილზე დათვალიერებით და მოსთხოვოს მესაკუთრეს იპოთეკის საგნის ღირებულების შენარჩუნებისათვის საჭირო ზომების მიღება. მესაკუთრე ნებას რთავს გამსესხებელს, მოიპოვოს ყოველი ასეთი ჩანაწერი და დოკუმენტი ნებისმიერი პირისაგან.

13.10. მესაკუთრე ვალდებულია, დაუშვას გამსესხებელი ან მისი რწმუნებული პირი იპოთეკის საგნის მდგომარეობის შესამოწმებლად, წინასწარ შეთანხმებულ დროს და მხოლოდ მესაკუთრის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით.

13.11. იპოთეკის საგნის ღირებულების შემცირებისას, ან ღირებულების შემცირების საფრთხის წარმოქმნისას გამსესხებელს უფლება აქვს, მოითხოვოს მის მიერ განსაზღვრულ ვადაში მესაკუთრისგან დამატებითი, გამსესხებლისათვის მისაღები ქონების იპოთეკით დატვირთვა, ან იპოთეკის საგნის აღდგენა ისე, რომ სრულად იყოს უზრუნველყოფილი მსესხებლის მიერ წინამდებარე გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება, მის ფარგლებში დადებული შემადგენელი ხელშეკრულებებით და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

მუხლი 14 მესამე პირთა მონაწილეობა საიპოთეკო ურთიერთობებში

14.1. იპოთეკა და მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც დადგინდა იპოთეკა, შეიძლება მხოლოდ ერთდროულად და ერთობლივად გადაეცეს მესამე პირს.

14.2. იპოთეკისა და მის საფუძვლად არსებული მოთხოვნის მესამე პირისათვის გადაცემა არ საჭიროებს მესაკუთრის თანხმობას, აგრეთვე მესაკუთრის წინასწარ შეტყობინებას.

14.3. იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მესამე პირისათვის დათმობის შემთხვევაში, ახალი კრედიტორი იძენს იპოთეკის უფლებას იპოთეკის საგანზე და ხდება ახალი იპოთეკარი.

14.4. იპოთეკარის შეცვლა ექვემდებარება რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. ადრე არსებული ჩანაწერი წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკის შესახებ ინარჩუნებს ძალას ახალი იპოთეკარის რეგისტრაციამდე.

14.5. იპოთეკა და მის საფუძვლად არსებული მოთხოვნა ახალ კრედიტორზე გადადის იმავე სახით, რა სახითაც იგი ჰქონდა იპოთეკარს

14.6. მოთხოვნის დათმობასთან ერთად მესამე პირს გადაეცემა ხელშეკრულება და ყველა საჭირო დოკუმენტაცია მოთხოვნის განსახორციელებლად

14.7. გამსესხებელი ვალდებულია, უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა შეატყობინოს მსესხებელს/მესაკუთრეს;

მუხლი 15. იპოთეკის საგნის შეძენა მესამე პირის მიერ

15.1 იპოთეკარის წინასწარი წერილობითი თანხმობით მესაკუთრე უფლებამოსილია იპოთეკის საგანი საკუთრებაში გადასცეს (მიჰყიდოს, აჩუქოს, გაუცვალოს) მესამე პირს. ასეთ შემთხვევაში, მესაკუთრე ვალდებულია იპოთეკარსა და მესამე პირს წერილობით აცნობოს ამგვარი გადაცემის თაობაზე. იპოთეკის საგნის მესამე პირისათვის გადაცემის შემთხვევაში მესამე პირი იძენს იპოთეკით დატვირთულ იპოთეკის საგანს.

მუხლი 16. იპოთეკის შეწყვეტის საფუძვლები

16.1. იპოთეკა უქმდება:

ა) მე-4 მუხლში მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებით;

ბ) იპოთეკარის მიერ იპოთეკაზე უარის თქმის შემთხვევაში;

გ) კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

16.2. იპოთეკის საგნის მესაკუთრის შეცვლა არ არის იპოთეკის შეწყვეტის საფუძველი. ამ შემთხვევაში იპოთეკის საგნის მიმართ დადგენილი ვალდებულებითი ტვირთი მიჰყვება იპოთეკის საგანს.

მუხლი 17. იპოთეკის შეწყვეტის გაფორმება

17.1. იპოთეკის შეწყვეტის / გაუქმების შემთხვევაში უნდა ამოიშალოს (გაუქმდეს) შესაბამისი ჩანაწერი საჯარო რეესტრში.

17.2. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკის საჯარო რეესტრიდან ამოშლის საფუძველია:

ა) იპოთეკარის მარტივი წერილობითი ფორმით შედგენილი განცხადება.

ბ) იპოთეკარი და მესაკუთრე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ ნოტარიუსს/საჯარო რეესტრს იპოთეკის საგანზე იპოთეკის გაუქმების მოთხოვნით; აღნიშნულ მოქმედებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი განუული იქნება მსესხებლის მიერ

გ) სასამართლოს გადაწყვეტილება;

დ) კანონით დადგენილი სხვა აქტი.

მუხლი 18. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი.

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

18.2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

18.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადავო საკითხები განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა შპს „საარბიტრაჟო სასამართლო თემიდა“-ს (საინდიფიკაციო კოდი 402302129) (შემდგომში -

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი) ან მის სამართალმემკვიდრეს; საქმეს განიხილავს ერთი არბიტრაჟისგან შემდგარი არბიტრაჟი, რომელსაც ნიშნავს არბიტრაჟის თავჯდომარე. მხარეების მიერ არბიტრის აცილების ვადა განისაზღვრება 5 დღით.

18.4. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი დავას განიხილავს საქართველოში (თბილისში). საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდება ქართულ ენაზე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების იმ რედაქციის შესაბამისად, რომელიც იქნება მოქმედი საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის.

18.5. მხარეები ვთანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები გადაწყვიტოს საარბიტრაჟო სასამართლოს თავჯდომარემ.

18.6. მხარეები თანხმდებიან თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 10 000 (ათიათას) ლარს ან მის ექვივალენტს საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის შესაბამისად სხვა ვალუტაში, არბიტრაჟს უფლება აქვს დავა განიხილოს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დანესებულების დებულების შესაბამისად.

18.7. მხარეები თანხმდებიან, რომ კომუნიკაცია მათსა და საარბიტრაჟო დანესებულებას ან/და მათსა და არბიტრ(ებ)ს შორის წარმოებს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ მხარეს ჩაბარდება წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულებით (ან სხვა დოკუმენტით) განსაზღვრულ ელ. ფოსტის მისამართზე. მსესხებელი/თანამსესხებელი (მოგირავნე/მესაკუთრე/თავდები) აცხადებს თანხმობას, რომ არბიტრაჟმა (არბიტრმა) მისი დაბარება, მისთვის უწყების ჩაბარება, მისთვის საარბიტრაჟო საქმის წარმოების დოკუმენტაციების გადაცემა, მისთვის გადაწყვეტილების (განჩინების)/ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება განახორციელოს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებაში (ან სხვა დოკუმენტში) მითითებულ მის პირად ელ. ფოსტის მისამართზე. თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფორმით გაგზავნა უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით.

18.8. ისეთ შემთხვევაში, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის საარბიტრაჟო შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჭაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც განთავსდება არბიტრაჟის ვებგვერდზე: www.arbitraji.gweb.ge. საარბიტრაჟო შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

18.9. იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში ზემოხსენებული არბიტრაჟი იქნება ლიკვიდირებული ან მას შეჩერებული/შენწყვეტილი ექნება ფუნქციონირება დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

18.10. საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შორის დავის წარმოშობის დროისათვის არბიტრაჟის მოქმედი დებულების შესაბამისად, ხოლო საერთო სასამართლოების მიერ დავის განხილვის შემთხვევაში სახელმძღვანელო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დადგენილი წესის შესაბამისად;

მუხლი 19. შეტყობინების წესი.

19.1. მხარეთა შორის კონტაქტი ხორციელდება ამ ხელშეკრულების აღნიშნულ მისამართებზე, ტელეფონებსა და ელ. ფოსტის მისამართებზე;

იპოთეკარისთვის/გამსესხებლისათვის: საქართველო, თბილისი, გამზირი აკაკი წერეთელი N 118, 1-ლი პავილიონი, ტელ: 2 300 300, info@swisscapital.ge;

მესაკუთრისთვის: წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებულ მისამართებზე, ტელეფონებსა და ელ. ფოსტაზე;

19.2. მესაკუთრე აცხადებს, რომ თანახმაა მიიღოს გამსესხებლის მიერ გამოგზავნილი ყველანაირი შეტყობინება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე;

19.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა შეტყობინება, რომელიც გაიგზავნება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მესაკუთრის მისამართებზე, მიუხედავად მისი ჩაბარებისა ან მიღებაზე უარის თქმისა, ჩაითვლება მსესხებლის მიერ მიღებულად;

19.4. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე შეიცვლის ადგილსამყოფელს, ელ.ფოსტას ან ტელეფონის ნომერს, იგი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს გამსესხებელს;

19.5. ამ ხელშეკრულების 19.4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი მესაკუთრე წერილობით აცნობებს გამსესხებელს მის შეცვლილ ადგილსამყოფელს ან/და ელ. ფოსტის მისამართს, საკონტაქტო მისამართებად ჩაითვლება ახალი მისამართები და მასზე სრულად გავრცელდება ამ ხელშეკრულების 19.2 და 19.3 მუხლებით დადგენილი წესები;

19.6. ამ ხელშეკრულების 19.4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი მესაკუთრე წერილობით არ აცნობებს გამსესხებელს მის შეცვლილ ადგილსამყოფელს, ან/და ელ. ფოსტის მისამართს, საკონტაქტო მისამართებად ჩაითვლება ამ ხელშეკრულებაში მითითებული მისამართები და ამ მისამართებზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების 19.2 და 19.3 მუხლებით დადგენილი წესები;

19.7. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 19.4 მუხლით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დაუშვებელია რაიმე სახის პრეტენზიის დაყენება გამსესხებლის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცალსახად და არაორაზროვნად არ დასტურდება ის გარემოება, რომ გამსესხებლისათვის ცნობილი იყო მსესხებლის ახალი მისამართი.

19.8. იმ შემთხვევაში თუ, წინამდებარე ხელშეკრულებაში, ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტში ან/და მასთან დაკავშირებით მესაკუთრის მიერ გამსესხებლისთვის წარდგენილ განაცხადში, მითითებულია მესაკუთრის მხრიდან საკონტაქტო პირი, გამსესხებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში (მათ შორის და არა მხოლოდ, მესაკუთრის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი მოთხოვნების ამოღების მიზნით) ნებისმიერი სახის და შინაარსის კომუნიკაცია (მათ შორის და არა მხოლოდ, უზრუნველყოფილი მოთხოვნების მოცულობისა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესახებ) განახორციელოს შეუზღუდავად, როგორც თავად მესაკუთრესთან, ისე საკონტაქტო პირთან. მესაკუთრე ადასტურებს, რომ მას მოპოვებული აქვს ყველა ნებართვა და თანხმობა საკონტაქტო პირისგან, მისი პერსონალური მონაცემების იპოთეკარის გადაცემის და მათი დამუშავების თაობაზე და საკონტაქტო პირი ინფორმირებულია;

19.9. იმ შემთხვევაში თუ, წინამდებარე ხელშეკრულებაში, ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ დოკუმენტში მითითების გზით (მათ შორის გამსესხებლისთვის ზეპირი ფორმით მიწოდებული ინფორმაციით) ან/და საჯარო წყაროებიდან, გამსესხებლისთვის ცნობილი გახდა მესაკუთრესთან დაკავშირებული მესამე პირ(ებ)ის ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი, გამსესხებელი უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში (მათ შორის და არა მხოლოდ, მესაკუთრის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მისი ამოღების მიზნით) დაუკავშირდეს აღნიშნულ პირ(ებ)ს და მოახდინოს მათთან ნებისმიერ სახისა და შინაარსის კომუნიკაცია, რაც გამომდინარეობს მესაკუთრის ადგილმდებარეობის მოძიების ან/და მასთან დაკავშირების მიზნებიდან;

20. პრეტენზიების წარდგენის წესი

20.1. მესაკუთრე უფლებამოსილია გამსესხებელს წაუყენოს წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან/დანართებიდან გამომდინარე პრეტენზია წერილობით, ან გამსესხებლის ვებ გვერდზე www.swisscapital.ge მომხმარებელთა პრეტენზიების მოდულში შესაბამისი შეტყობინების დაფიქსირებით ან ზეპირად.

20.2. იპოთეკარი ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში განიხილოს მესაკუთრის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია და შეატყობინოს შესაბამისი გადაწყვეტილება მესაკუთრეს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით ან/და საკონტაქტო ტელეფონზე ინფორმაციის ზეპირი ფორმით მიწოდების გზით. შესაძლებელია დამგირავებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში პასუხი პრეტენზიაზე ჩაბარდეს მატერიალური ფორმით

20.3. მსესხებლის მიერ წაყენებული პრეტენზიების მიღება, დამუშავება და შედეგების შესაბამისი ადრესატებისათვის გაცნობა ხორციელდება, გამსესხებლის მიერ წარდგენილი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ოფიცრის მიერ.

მუხლი 21. წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილის ბათილობის შედეგები

21.1. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები და პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

მუხლი 22. კონფიდენციალურობა, პერსონალური მონაცემის დამუშავება

22.1. მესაკუთრე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ თანხმობას აძლევს გამსესხებელს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპების, საფუძვლებითა და წესით.

22.2. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების, მისი გაადვილების, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის, კომპანიის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით. მესაკუთრე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით თანხმობას აცხადებს მისი პერსონალური მონაცემების ზემოაღნიშნულ ფარგლებში დამუშავებაზე და მესამე პირებისთვის გადაცემაზე.

22.3. გამსესხებელი უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემების დაცვას, ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ გამსესხებლის მიერ მიღებული ინფორმაციის გადაცემა დაუშვებელია ნებისმიერი მესამე პირებისათვის, შესაბამისი სასამართლო განჩინების, ამ შეთანხმების ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე.

22.4. მონაცემების შენახვა ხორციელდება სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საგადასახადო კოდექსისა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვად(ებ)ის გათვალისწინებით.

მონაცემთა სუბიექტს (მესაკუთრე) უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს გამსესხებელს და განახორციელოს მისთვის კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაცია.

22.5. მესაკუთრეს საქართველოს კანონით პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ აქვს შემდეგი უფლებები: მისი პერსონალური ინფორმაციის მიღების უფლება, მონაცემების გაცნობისა და ასლის მიღების უფლება; მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება; მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება; მონაცემთა დაბლოკვის უფლება; მონაცემთა გატანის უფლება, გასაჩივრების უფლება;

22.6. მესაკუთრეს კანონის შესაბამისად უფლება აქვს გამსესხებლისთვის წერილობითი შეტყობინების მიმართვის გზით გაიხმოს/გაითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების დადების მიზნით გაცემული თანხმობა(ები).

22.7. კანონმდებლობით გათვალისწინებული დამუშავების სხვა საფუძვლის არ არსებობის შემთხვევაში, მესაკუთრის მხრიდან მისი უფლებების რეალიზაციის შემთხვევაში, გამსესხებელი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულებას, მათ შორის მესაკუთრის მოთხოვნის შესრულებას თანხმობის გახმობის თაობაზე; თანხმობის გახმობა მესაკუთრეს არ ათავისუფლებს თანხმობის გაცხადებით (მის ფარგლებში) დამდგარი/გამონვეული საამრთლებრივი შედეგებისაგან.

22.8. მესაკუთრე იძლევა თანხმობას, მისი მონაცემების დამუშავების პროცესში გამსესხებელმა გამოიყენოს, როგორც ადამიანური ჩართულობით, ასევე ავტომატიზებული ფორმით დამუშავების მეთოდები.

22.9. მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულების კონფიდენციალურობის პირობები. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (I) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; (II) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (III) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

22.10. მიუხედავად 22.9. პუნქტში მითითებული შეზღუდვისა მესაკუთრე თანახმაა და გამსესხებელს ანიჭებს უპირობო უფლებას, მესაკუთრის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

22.10.1. გამსესხებლის კანონიერი ინტერესის დაცვის, მომსახურების განწესის, მის მიმართ არსებული ვალდებულებების აღრიცხვის და შესრულების უზრუნველყოფის მიზნებისთვის დაამუშავოს მესაკუთრის მონაცემები (შეგროვება, შენახვა, შეყვანა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვა), კერძოდ: სახელი; გვარი; პირადობის მოწმობის ნომერი; პირადი ნომერი; დაბადების თარიღი; მისამართები(რეგისტრირებული, ფაქტიური); ელექტრონული ფოსტის მისამართი; ტელეფონის ნომერი; საკონტაქტო ინფორმაცია; სამუშაო ადგილი; პოზიცია; ანაზღაურება; საბანკო ანგარიშის ნომერი; საკრედიტო ისტორია; სასესხო განაცხადები და სხვა ნებისმიერი კატეგორიის პერსონალური მონაცემი(შემდგომში "მონაცემი"), რომელიც მესაკუთრემ გამსესხებელს მიანოდა სასესხო განაცხადის შევსებით, სატელეფონო საუბრით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ნებისმიერი ფორმით ან სხვა ფორმით გახდა ცნობილი გამსესხებლისთვის. ამასთან მესაკუთრისგან გამსესხებლისთვის ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფორმით ინფორმაციის მიწოდება განიხილება როგორც მესაკუთრის თანხმობა გამსესხებლის მიერ ამ მონაცემების დამუშავების თაობაზე.

22.10.2. მესაკუთრე უფლებას აძლევს გამსესხებელს სადებეტო ბარათებით შეუფერხებელი მომსახურების განწესის მიზნით განახორციელოს მესაკუთრის შესახებ არსებული მონაცემების გაცვლა /გადაცემა მესამე პირთათვის.

22.10.3. გამსესხებლის მიერ მესაკუთრის პერსონალური მონაცემების დამუშავება ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული მიზნების გარდა დამატებით განხორციელდეს შემდეგი მიზნებით:

22.10.3.1. მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

22.10.3.2. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

22.10.3.3. გამსესხებლის მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც გამსესხებელი ახორციელებს მესაკუთრის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

22.10.3.4. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის;

22.11. მესაკუთრე აცხადებს და ადასტურებს, რომ გამსესხებელი უფლებამოსილია პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დაამუშავოს კლიენტის პერსონალური მონაცემ(ებ)ი (მათ შორის, მაიდენტიფიცირებელი, ფინანსური, საკონტაქტო და სხვა) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“(განთავსებული: <https://swisscapital.ge/>) და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. ამავდროულად, მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს შეთავაზებ(ებ)ის მიღების შეწყვეტა იმავე ფორმით/არხით, რომლითაც იღებს შეთავაზებას/ებს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობა მოქმედებს უვადოდ (მის გამოხმობამდე), ხოლო თანხმობის გახმობის შემთხვევაში, მესაკუთრე ვეღარ მიიღებს მასზე მორგებულ შეთავაზებას/ებს მომსახურების და/ან პროდუქტ(ებ)ით სარგებლობასთან დაკავშირებით. მესაკუთრის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გახმობის შემთხვევაში, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების

დამუშავება შეწყდება გონივრულ ვადაში, თუმცა არაუგვიანეს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.

22.12. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ-ს ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელსაც მესაკუთრეს შეუძლია მიმართოს განცხადებით, მისი პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული უფლებების რეალიზების მიზნით, კერძოდ მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მის შეიღებულ ნერილობით, ოფიცერი შემსრულებლის მოთხოვნაზე, მიმართვიდან 10 (კალენდარული) დღის განმავლობაში გასცემს პასუხს, ოფიცრის მონაცემები: - გიორგი შერმაღინი, საკონტაქტო მეილი legal@safco.ge; საკონტაქტო ტელ: 511 155 154

მუხლი 22¹ ინფორმაციის მიწოდება საინფორმაციო ბიუროსათვის

22¹.1. სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“ (იურდიული მისამართი: ქ. თბილისი, გამზირი აკაკი წერეთელი N 118, 1-ლი პავილიონი ს/კ 205274273) შეაგროვებს/დამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

22¹.2. მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

მუხლი 23. სხვა პირობები

23.1. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი მესაკუთრე:

23.1.1. თითოეული ასეთი მესაკუთრე წარმოადგენს იპოთეკარის მიმართ სოლიდარულ მოვალეს ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ვალდებულებებზე;

23.1.2. თითოეული მესაკუთრე სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებაშიც, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს მესაკუთრე ამგვარი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს;

23.1.3. თითოეული მესაკუთრის სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველსაყოფად იპოთეკარის სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, თავდებობის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა;

23.1.4. ერთ-ერთ მესაკუთრესთან დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება სხვა მესაკუთრის მიმართაც, იმის გათვალისწინებით, რომ იპოთეკარის მიერ რომელიმე მესაკუთრის მიმართ თავისი უფლებების გამოუყენებლობა (სრულად ან ნაწილობრივ) არ გავრცელდება სხვა მესაკუთრეებზე და არ ათავისუფლებს მათ შესაბამისი ვალდებულებებისაგან;

23.1.5. ერთ-ერთი მესაკუთრის მიერ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, იპოთეკარი უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ მესაკუთრეს და მის მიმართ ისარგებლოს ამ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით.

23.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებას ან/და დამატებას ძალა აქვს იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

23.3. ხელშეკრულების მუხლებს აქვთ სათაურები ხელშეკრულების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები მხედველობაში არ მიიღებიან ხელშეკრულების რაიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტავად

23.4. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ასეთი უფლების უარყოფას;

23.5. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობანი მხარეთა შორის რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

23.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება მხარეთა უფლებამონაცვლეებზე/სამართალმემკვიდრეებზე;

23.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 იდენტურ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ

სარეგისტრაციო სამსახურს გამსესხებლის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკის სარეგისტრაციოდ, ხოლო ხელშეკრულების დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემათ მხარეებს;

23.8. ხელშეკრულება დადებულია სათანადო წესით, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და წარმოადგენს ნამდვილ, მხარეთა მავალდებულებელ ხელშეკრულებას, რომლიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება დაუბრკოლებელივ შეიძლება იქნას მოთხოვნილი მხარეების მიერ;

23.9. მხარეები ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებენ, რომ სრულად ესმით ხელშეკრულების დებულებათა შინაარსი და ეთანხმებიან მათ

თქვენ ხელმოწერით ადასტურებთ, რომ აცნობიერებთ სესხის უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი ქონების დაკარგვასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ მსესხებელმა სრულად არ დაფარა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

იმ შემთხვევაში, თუ გადანყვეტთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გავოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა

იპოთეკარი:

მესაკუთრე:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“ ის წარმომადგენელი	
----------------------------------------------------------------	--